

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბონდო ჭყეიას

2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ვარ სოფელ ნაკიანიდან, 2014 წლის ივნისის თვიდან დღემდე. ჩემი დეპუტატის უფლებამოსილების შესრულების პარალელურად ვარ საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო და სამანდატო საპროცესო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი. 2019 წლის 01 იანვრიდან ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე. მიმდინარე წლის მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 13 სხდომის მუშაობაში. აქტიურ მონაწილეობას ვღებულობთ საკრებულოს კომისიებში საკითხების მომზადებაში და სხდომაზე განსახილველად გატანაში.

მიმდინარე წელს განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდი სოციალურად შეჭირვებული ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ამ კუთხით მიზნობრივი დახმარება გაუწიეთ 6 ოჯახს. ჩემი ინიციატივით სოციალური დახმარება დაენიშნა 3 ოჯახს. ხოლო აღნიშნული სტატუსი აღუდგა 5 ოჯახს. თანადაფინანსების კუთხით გაწეული იქნა დახმარება 8 ადამიანზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით. გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება 9 ოჯახს მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფთ.

მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. კერძოდ 150 მეტრი სიგრძის ბეტონის საფარი დაიგო, საწრეტი არხი გაკეთდა 350 მეტრზე, ცენტრალური გზის მონაკვეთზე მეწყერ საშიშ ზონაში 50 მეტრზე გაკეთდა გაბიონი, ოთხი თვის უკან დაიწყო სოფლის ცენტრში ამბულატორიის მშენებლობა, რომელიც წლის ბოლოს დასრულდება. მიმდინარეობს და უახლოეს ხანში დასრულდება საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სოფლის ცენტრალურ უბანზე 3 კვ მანძილზე მიმდინარეობს გარე განათების სამუშაოები, რომელიც წლის ბოლოს დასრულდება. სოფლის ერთერთ უბანში (ლევალიჩე) მიმდინარეობს სასმელი წყლით უზრუნველყოფის სამუშაოები. შეხვედრების დროს დასმული საკითხები ძირითადად ეხებოდა შიდა საუბნო გზების კეთილმოწყობას. ამჟამად მიმდინარეობს და წლის ბოლოსთვის დასრულდება სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო სამუშაოები.

საკრებულოს წევრი

მაჟორიტარი დეპუტატი

ბონდო ჭყეია

6.11.2019 წ.